საღამო

მდინარეში მტირალი საღამო იცქირება,

მზე ჩადის და მდინარის სარკეში იძირება.

მთები, ზღვები, ღრეები, წუთისოფლის თანახმად

გახარჯულ დღეები - ყველაფერი თავდაღმა.

გკოცნი მშობელს შობილი,

მზე წყალში გახლართულა,

აგე, კლდიდან სოფელი აარგვში ჩახატულა.

მქონდა სალაპარაკო, ვერ კი გითხარ რიდობით;

გამარჯობა, არაგვო, და კიდევაც მშვიდობით!

ჩემი ზვრები გადახმა, სხვისმა ძეძვმაც იხარა,

საქართველოვ, კოხტა ბიჭო, მე ვარ შენი წიქარა!

მზე ჩადის და მდინარის სარკეში იძირება.

მდინარეში მტირალი საღამო იცქირება.

1970